დაბრუნებული კითხვარების განხილვა მოხდა ერთგანზომილებიანი და ორგანზომილებიანი ანალიზის და სტატისტიკური დასკვნების გზით, დამოუკიდებელი ტ-ტესტის გამოყენებით, რათა გამოვლენილიყო მნიშვნელოვანი განსხვავებები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების არმქონე მათი თანატოლების საშუალო ქულებს შორის. კითხვარი შედგებოდა 4 ნაწილისაგან და ასახავდა პროფესიულ კოლეჯებში ჩამოყალიბებული სერვისის ეფექტურობას, ამ დაწესებულებების სტუდენტ-მასწავლებელთა გამოცდილებას და საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მდგრადობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელ პოტენციალს. სტუდენტებისათვის განკუთვნილი კითხვარი ფოკუსირებდა მათ გამოცდილებაზე და აქცენტირდებოდა ინკლუზიური განათლების განხორციელების იმ 4 ძირითად ელემენტზე, როგორცაა, მეგობრული ურთიერთობები, მონაწილეობა, დემოკრატიული პროცესები და შედეგებით მიღებული სარგებელი.

ზემომოყვანილი ოთხი ელემენტი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

მეგობრული ურთიერთობები - ეხება თანატოლების მიერ, ჯგუფში ან კლასში, სტუდენტის ბუნებრივად მიღებას და განვრიანებას, რასაც შედეგად მოსდევს ჯგუფის ან კლასის წევრად ყოფნის შეგრძნება და გამოცდილება; ასევე კოლეჯის სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობა.

მონაწილეობა - ეხება იმას, აქტიურად ასრულებს სტუდენტი თავის მოვალეობას სასწავლო პროცესში თუ პასიური დამკვირვებელია.

დემოკრატიზაცია - ეხება იმას, თუ რამდენად აღიქვამს სტუდენტი, რომ მას ცვლილებებზე გავლენის მოხდენა შეუძლია; გამოხატავს თუ არა საკუთარ აზრს, რომელსაც მოუსმენენ ან გაიზიარებენ თანატოლები და მასწავლებლები.

შედეგების სარგებლობა - ეხება აკადემიურ და სოციალურ სარგებელს, რომელსაც კოლეჯში ჩართულობით იღებს სტუდენტი, მიუხედავად მისი განწყობისა და შესაძლებლობისა; ანუ სტუდენტის აკადემიური და სოციალური მოლოდინები რამდენად არის დაკმაყოფილებული.

შედეგები

მოცემულ შეფასებით ანგარიშში წარმოდგენილია კვლევის შედეგები კვლევის შვიდივე კითხვასთან მიმართებაში. უკვე აღვნიშნეთ, რომ შედეგები მიღებულია ზემოაღნიშნული კვლევის ინსტრუმენტების გამოყენებით შეგროვებული რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემებიდან. მონაცემების საიმედოობის ვერიფიკაცია მიღწეულია მულტი-მეთოდური ტრიანგულაციის, ხოლო რაოდენობრივი მონაცემების შემთხვევაში – აღიარებული სტატისტიკური პროცედურების გზით.

1. რამდენად ეფექტური იყო სამინისტროებს შორის თანამშრომლობის ფორმატი?

მონაცემები მიუთითებს, რომ ორი ქვეყნის სამინისტროებს შორის ჩამოყალიბდა მაღალი ნდობა, რომლის საფუძველს წარმოადგენდა პროცესში ჩართულ ძირითად წარმომადგენლებს შორის არსებული ეფექტური კომუნიკაცია, რეგულარული პირისპირ შეხვედრები და საქმიანობის მკაფიო პროტოკოლის შემუშავება. ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს წარმომადგენლებმა შეძლეს მკაფიოდ მოეთხროთ ნორვეგია-საქართველოს თანამშრომლობის ისტორიის შესახებ; პროექტის მიზნების მათეული ინტერპრეტაცია შესაბამისობაში იყო პროექტის დოკუმენტაციაში წარმოდგენილ მიზნების ფორმულირებებთან.

საქართველოსა და ნორვეგიის სამინისტროებს შორის პროექტთან დაკავშირებული საერთაშორისო თანამშრომლობა მნიშვნელოვანია იმ ინიციატივებისა და ღონისძიებების ლეგიტიმიზაციისათვის, რომელიც განხორციელდა სფეროში მომუშავე პირების მიერ. ასეთი სახის ინიციატივები, სადაც ჩართულია ორი ქვეყნის სამინისტროები, არ არის ფართოდ გავრცელებული; ამდენად, ნორვეგიასა და საქართველოში, განათლების სფეროს მუშაკების ეს მოდელი შეიძლება გახდეს მისაბაძი მაგალითი და განხორციელდეს სხვაგანაც.

პროექტის მსვლელობისას, ნორვეგიის საზოგადოებრივი მშენებლობისა და ქონების დირექტორატმა, საქართველოს კონტექსტში, გააჟღერა ტერმინი „უნივერსალური დიზაინი“. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსა და ნორვეგიის დირექტორატს შორის თანამშრომლობამ აამაღლა ცნობიერება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ახალგაზრდების შესახებ და ჩამოაყალიბა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ახლებურად დაპროექტების ხედვა.

მოდელის „შენობები ყველასათვის“ დანერგვამ, სარგებელი მოუტანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, გავლენა იქონია არქიტექტურის სფეროს სტუდენტებსა და სფეროში მომუშავე პერსონალზე საქართველოს რამდენიმე რეგიონში. აღნიშნული მიდგომით გაუმჯობესდა პროფესიული განათლების დაწესებულებების ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებისათვის, საქართველოს მასშტაბით.

წარმატება უზრუნველყო პროექტის ძლიერმა და მცოდნე ხელმძღვანელმა, რომელმაც შექმნა ქმედითი მართვის სისტემები. აღნიშნული პირი პატივისცემით სარგებლობს ორივე ქვეყნის დაინტერესებულ მხარეებში (სტეიქჰოლდერებში), მოიაზრება როგორც ეფექტური ლიდერი, მან ჩამოაყალიბა საქართველოში არსებული ვითარების შემეცნების მაღალი

კულტურა და გამოავლინა ეფექტური გუნდის შეკვრის უნარ-ჩვევები. პროექტის წინსვლა განაპირობა აგრეთვე მჭიდრო სამუშაო გამოცდილებამ პროექტის ხელმძღვანელსა და მენეჯმენტში საკვაძო პოზიციებზე მყოფ პირებს შორის, როგორც საქართველოში, ასევე ნორვეგიაში.

საქართველოში, პროფესიული კოლეჯების მასწავლებლების ფოკუს ჯგუფისაგან და პროფესიული განათლების პოლიტიკის განხორციელებასა და მართვაზე პასუხისმგებელი პირებისაგან მიღებულმა მონაცემებმა აჩვენა, რომ ნათლად იყო გააზრებული პროექტის მიზნები და მენეჯმენტის პასუხისმგებლობები. ორივე ჯგუფის აზრით, ნორვეგიულმა მხარემ პროექტში შემოიტანა გამოცდილება, რესურსები და მართვის ეფექტური სისტემა; ამდენად, ჩამოყალიბდა სამართლიანი მიდგომები სტუდენტთა მარგინალიზებული ჯგუფებისათვის პროფესიული განათლების უკეთესად წვდომის უზრუნველსაყოფად.

ფოკუს ჯგუფებმა (პროფესიული კოლეჯების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტები და ტრენინგში მონაწილე მასწავლებლები) მართებულად მიიჩნიეს ცვლილებები, რომლის უშუალო მონმენიც გახდნენ: გამოვლინდა პერსონალის ამალღებული თავდაჯერებულობა, ცოდნა, უნარ-ჩვევები, სტუდენტთა შესაძლებლობების გაზრდა, პროფესიულ განათლებაზე წვდომა. მასწავლებლებმა გააცნობიერეს პროექტში ნორვეგიული მხარის და სხვა უცხოელი ექსპერტების მნიშვნელოვანი წვლილი. გამოითქვა სინანული, რომ მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი ტრენინგში არ მონაწილეობდა (მონაცემთა შეგროვების მომენტისათვის). დატრენინგებული პედაგოგები თვლიან, რომ პროექტის გავრცელებით და ეფექტური მართვით შესაძლებელია პროცესის უწყვეტი გაძლიერება. პროექტის დასრულების შემდეგ შეინიშნებოდა გარკვეული ნუხილი პროფესიულ განათლებაში მიღწეული შედეგების მდგრადობასთან მიმართებაშიც. თუმცა, როგორც ფოკუს ჯგუფების, ასევე ინტერვიუების მონაცემები თანხმობაშია, რომ ინფრასტრუქტურისა და პროცედურების ჩამოყალიბება, გაზრდილი გამოცდილება და კომპეტენცია უზრუნველყოფს საქართველოში პროფესიული განათლების საიმედო მომავალს.

2. რა სარგებლობა მოიტანა პროექტმა და ამგვარმა მუშაობამ?

აღინიშნა ფოკუს ჯგუფების რესპონდენტთა დადებითი განწყობა ნორვეგიელი კოლეგების მიმართ; წარმოჩინდა იმ გარეშე ექსპერტების მონაწილეობის ხარისხი, ვინც თავისი წვლილი შეიტანა, ტრენინგის შედეგად, ქვეყანაში მიღწეულ განვითარებაში.

პროექტის სარგებლის დანახვა შეიძლება რამდენიმე დონეზე. უპირველეს ყოვლისა, ეს არის, ზოგადად, საქართველოში, ნდობისა და კომპეტენციის ამალღება; მეორე - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ახალგაზრდების გაზრდილი შესაძლებლობები და მესამე - პარტნიორობის სამუშაო მოდელის უზრუნველყოფა, რომლის ფარგლებში ეფექტურად განხორციელდა პროექტის ყველა აქტივობა და შეიქმნა მდგრადი სისტემები მომავლისათვის.

გაზრდილი ნდობა და კომპეტენცია, საქართველოში, დაეფუძნა პროფესიონალურ პატივისცემაზე ჩამოყალიბებულ პარტნიორობას და თავიდანვე შესაძლებელი გახდა მკაფიო შედეგების დასახვა. პროექტის მიზნების და ამოცანების ამსახველი დოკუმენტაცია ნათლად იყო განერილი; ფოკუს ჯგუფებიდან და ინტერვიუებიდან მიღებული მტკიცებულებები ცხადყოფენ, რომ პროექტის ხელმძღვანელები და მონაწილეები მუშაობდნენ თავდაპირველი

გეგმის მიხედვით, აწარმოებდნენ პროგრესის მონიტორინგს და ეფექტურობის შეფასებას პროექტის მოქმედების (ინტერვენციის) პერიოდში.

პროფესიული კოლეჯების მასწავლებლებმა შეიძინეს მეტი თავდაჯერებულობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სპექტრთან მიმართებაში, მოახერხეს უნარ-ჩვევების ილუსტრირება და შექმნეს ზედმინევით ინკლუზიური გარემო. ყველა ფოკუს ჯგუფი აღიარებდა, რომ აღნიშნულის ასე მარტივად და მოკლე დროში მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა ნორვეგიელი პარტნიორების დახმარებისა და მხარეებს შორის ჩამოყალიბებული ეფექტური თანამშრომლობის გარეშე.

საქართველოში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ახალგაზრდების შესაძლებლობების გაზრდა დიდწილად ამ პარტნიორობით გახდა შესაძლებელი. პროფესიულ კოლეჯებში ჩარიცხული სტუდენტების მიღწევათა დემონსტრირება ამაღლებული ცნობიერების შედეგს წარმოადგენდა. სისტემური განხილვისა და შეფასების პროცესი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, საკვანძო შედეგების მიღწევისა და ყველა პროცედურის ეფექტური მონიტორინგის განხორციელების უზრუნველყოფისათვის.

დოკუმენტაციაში, რომელიც პროექტს მიმოიხილავს, ჩამოყალიბდა არა მხოლოდ შესრულებული აქტივობების დაგეგმილი შედეგები, არამედ პარტნიორთა მუშაობის წესი, რომელიც გულისხმობს ეფექტური თანამშრომლობის განხორციელებას. მკვეთრად გაიწერა ინდივიდებისა და ინსტიტუციების პასუხისმგებლობა როგორც საქართველოში, ასევე ნორვეგიაში, რამაც პროექტის ეფექტური მართვა და ყველა დაგეგმილი შედეგის მიღწევა უზრუნველყო.

მოცემული პროექტის წლიური ანგარიშები ცხადყოფენ, რომ ყოველი წლისთვის ნაწილდებოდა სამიზნე აქტივობები, რომლებიც გამოიყენებოდა სასურველ შედეგებზე ფოკუსის შესანარჩუნებლად. ზოგიერთი აქტივობა იყო მკაფიოდ გამოკვეთილი და განერილი, ზოგი – ძალიან ზოგადი (მაგ. პროფესიული განათლების მიწოდების ხარისხის გაუმჯობესება 2016 წლისათვის) და ნაკლებ სასარგებლო პროფესიული სისტემის შემდგომი წინსვლისათვის.

3. როგორი ეფექტი ჰქონდა საქართველოში, ინკლუზიური პროფესიული განათლების სფეროში განხორციელებულ ინტერვენციებს?

კვლევის მონაცემებმა გამოკვეთა პროფესიულ განათლებაში განხორციელებული ინტერვენციების სხვადასხვა პოზიტიური ეფექტი. მოსახლეობის ყველაზე მეტად მონყვლად ჯგუფებს მნიშვნელოვნად გაეზარდა პროფესიული განათლების შესაძლებლობები, რასაც ფოკუს ჯგუფებში მონაწილე სტუდენტები ცალსახად აღიარებენ და იმედოვნებენ, რომ ამგვარი ცვლილებების შედეგად მათ დასაქმებისა და დამოუკიდებლობის მეტი გარანტია აქვთ.

კითხვარზე გაცემული პასუხებით, რომლებიც მეგობრულ ურთიერთობებს, მონაწილეობას, დემოკრატიზაციას და შედეგების სარგებელს შეეხება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტები მიუთითებენ, რომ საქართველოს პროფესიული განათლების კოლეჯების ცხოვრებაში თავს ჩართულად გრძნობენ, არიან დაფასებულნი და კოლეგებისგან გარიყულობას არ განიცდიან. აღსანიშნავია, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების პასუხები გაცილებით პოზიტიურია, ვიდრე შეზღუდვის არმქონე მათივე თანატოლების.

სტატისტიკური ანალიზის შედეგებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტები თანამშრომლობენ თანატოლებთან და იმედოვნებენ, რომ, საჭიროების შემთხვევაში, მათგან სასურველ დახმარებას მიიღებენ. არსებობს მტკიცებულება, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებს არ გააჩნიათ შეზღუდვის არმქონე თანატოლებზე მეტი სირთულეები, რაც, ბუნებრივია, ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მცდელობის პოზიტიურ შედეგს წარმოადგენს. ამკარაა, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებს, პროფესიულ კოლეჯებში, აქვთ თანატოლებთან გათანაბრებული შესაძლებლობები და მაღალია სოციალური და აკადემიური სარგებლის დონე.

ტრენინგში მონაწილე მასწავლებლები გამოიჩინეს თავდაჯერულობით, ახალი უნარ-ჩვევების და ცნობიერების გამომუშავებით; ისინი თვლიან, რომ მათი მოლოდინი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებთან მიმართებაში ამაღლდა. ყოველივე ეს დადასტურდა მსჯელობით ფოკუს ჯგუფებში.

საქართველოში პოლიტიკის შემმუშავებლები იმედოვნებენ, რომ განხორციელებული პროექტი ინკლუზიური საგანმანათლებლო სისტემის საჭირო მიმართულებებს უფრო განავრცობს, გამოკვეთავს და ფორმალური განათლების სხვა სფეროებზეც იქონიებს გავლენას.

აღსანიშნავია, პროექტის შედეგად, ნორვეგიელი კოლეგების სარგებელიც. ნორვეგიელ პოლიტიკის შემმუშავებლებთან ინტერვიუებმა ცხადყო, რომ მათ ორმხრივი სასწავლო გამოცდილება შეიძინეს; უკეთ გაიაზრეს მონყვლადი ჯგუფების ახალგაზრდობის საჭიროებები და გაიფართოვეს ინკლუზიური მიდგომების შემუშავებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები.

4. რის გაკეთება შეიძლებოდა უკეთ (მომავალ პროექტებში გასათვალისწინებლად)?

პროექტმა და მისმა მენეჯმენტმა უდავოდ მრავალი ძლიერი მხარე წარმოაჩინა. თუმცა ყურადსაღებია, შეგროვილი მონაცემებიდან, რესპონდენტების მიერ წამოწეული რამდენიმე საკითხი, რომელთაც, მათივე აზრით, მიღწეული შედეგების გაუმჯობესება შეუძლია. მაგ. არსებობს რამდენიმე დასკვნითი მტკიცებულება, რომ დამსაქმებლებთან ინტენსიური დისკუსიები და მათი ჩართულობა პროექტის ადრეულ ეტაპზე მეტად მომგებიანი იქნებოდა. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთლიანად პროფესიულ განათლებაზე ფოკუსირებისას. მართალია პროფესიული მასწავლებლების უნარ-ჩვევები და კონკრეტულ საგნებთან მიმართებაში მათი გამოცდილება ეჭვშეუვალია და ეს გამოიხატა ნარატიული მონაცემების სახით, მაგრამ მეორე საკითხია, თუ რამდენად ნათლად გაიაზრეს მათ დამსაქმებელთა მოთხოვნები. არსებობს მცირე მტკიცებულება იმ მოსაზრებისა, რომ გამოყენებული სასწავლო პროგრამები და სწავლის გაუმჯობესება ვერ უზრუნველყოფს ახალგაზრდებს ღია ბაზარზე დასაქმებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევებით.

5. რამდენად მდგრადია ჩამოყალიბებული სისტემები?

პროექტის მდგრადობა დამოკიდებულია იმაზე, რომ შენარჩუნდეს და განივრცოს წარმატება, აგრეთვე მოხდეს ადეკვატური დაფინანსება, პროფესიული კოლეჯების საქმიანობის შემდგომი გაფართოებისათვის. ამასთან ერთად, უნდა არსებობდეს კონკრეტული და რეალური სამოქმედო გეგმა. კვლევის შედეგად მიღებული მტკიცებულების თანახმად, პოლიტიკის დამგეგმავებს და პროფესიულ კოლეჯებს აქვთ აღნიშნული პროგრამის უწყვეტობის უზრუნველყოფის მოტივაცია. ჩამოყალიბებულია მკაფიო პოლიტიკა პროფესიულ კოლეჯებში ამჟამად არსებული შესაძლებლობების დასაფინანსებლად, რაც შემდეგში მდგომარეობს:

სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას დააფინანსოს პროფესიული განათლების სტუდენტების სწავლების პირველი 3 საფეხური იმ პირობით, თუ ისინი აკმაყოფილებენ ქვემოთმოყვანილი პირობებიდან ერთ-ერთს მაინც:

- სტუდენტის პროფესიონალური არჩევანი ჯდება მთავრობის მიერ პრიორიტეტულად აღიარებული პროგრამების ჩარჩოში (ამჟამად პრიორიტეტულია 70 პროფესია);
- სტუდენტი იდენტიფიცირებულია როგორც სოციალურად დაუცველი;
- სტუდენტმა დაამთავრა საბაზო განათლება (1-9 კლასები);
- სტუდენტმა დაამთავრა ზოგადი განათლება და არ არის დარეგისტრირებული ერთიან ეროვნულ გამოცდებზე.

იმის მიუხედავად, რომ ამ სისტემამ გარკვეულ წარმატებას მიაღწია პროფესიული კოლეჯების განვითარებაში და უზრუნველყო პროფესიული განათლების მისაწვდომობა, ბევრი ახალგაზრდისათვის, ჯერ კიდევ არსებობს მონიტორინგის საჭიროება, რამდენადაც ქვეყანაში იცვლება სოციალურ-ეკონომიკური კლიმატი და იქმნება დამსაქმებლის მოთხოვნებსა და პრიორიტეტებზე მორგებულ მოდელზე გადასვლის შესაძლებლობა.

არსებობს იმის მტკიცებულება, რომ პროექტმა აამაღლა ცნობიერება იმ ახალგაზრდების შემდგომ დახმარებაზე, ვინც დასაქმებისაკენ პროფესიული კოლეჯებიდან მიდიან. ამ სტრატეგიის მდგრადობა დამოკიდებულია პერსონალის გადამზადების შესაძლებლობების შენარჩუნებასა და კოლეჯების ადეკვატურ დაფინანსებაზე.

6. არსებობს რაიმე პოტენციურად დაუცველი (მოწყვლადი) სფერო?

ფოკუს ჯგუფებში მსჯელობა წამოიჭრა პოტენციურად ორ დაუცველ (მოწყვლად) სფეროზე, თუმცა არცერთი მათგანი არ იქნა მიჩნეული მნიშვნელოვან საფრთხედ, რაც შეაფერხებდა ინკლუზიური პროფესიული განათლების პროგრესს. პირველი მათგანი უკავშირდება, მიღწეული შედეგების საფუძველზე, განვითარებულ წინსვლას, რაც, გარკვეულწილად, დამოკიდებულია რესურსებისა და გამოცდილების მოდინებაზე. არსებული სიტუაციის მდგრადობა, დაფინანსებისა და უნარ-ჩვევების შემდგომი გაუმჯობესება ის ფაქტორებია, რომლებიც უახლოეს მომავალში მოითხოვს განხილვას და მართვას. მართალია დიდია ჩამოყალიბებული სისტემის შენარჩუნების, უნარ-ჩვევების გაუმჯობესების სურვილი, მაგრამ მომავლისათვის უმნიშვნელოვანესია საქართველოში ხელმძღვანელობისა და მენეჯერების წინსვლის შესაძლებლობაც.

მდგრადობასთან დაკავშირებულ გამონწვევებს აცნობიერებენ პროფესიული განათლების პოლიტიკის განხორციელებასა და მართვაზე პასუხისმგებელი პირები, გარკვეულწილად (ნაკლებად) ტრენინგში მონაწილე მასწავლებლებიც, თუმცა თვლიან, რომ საქართველოში შექმნილია საფუძველი, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას.

მეორე დაუცველი სფერო უკავშირდება დამსაქმებლებსა და დასაქმების ორგანიზაციებთან მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას. იმის მიუხედავად, რომ, პროექტის ფარგლებში, მიღწეული იქნა პროგრესი, – ახალგაზრდები აღიჭურვნიან დასაქმების ბაზარზე წარმატებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებით და ცოდნით, ზოგიერთი რესპონდენტის მოსაზრებით, ეს არ არის საკმარისი; რეალობა მოითხოვს კიდევ უფრო მდგრადი კავშირებისა და პარტნიორობის ჩამოყალიბებას დამსაქმებლებთან, რათა სტუდენტებმა შეძლონ, სარგებელი მიიღონ შექმნილი განათლებიდან.

7. რამდენად უწყობს ხელს ამჟამად, საქართველოში, ინკლუზიური პროფესიული განათლება, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის განხორციელებას და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნების გათვალისწინებას?

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია ხაზგასმით აღნიშნავს „შეზღუდული შესაძლებლობის საკითხების, მდგრადი განვითარების შესაბამისი სტრატეგიების შემადგენელ ნაწილად მენისტრიმინგის მნიშვნელობას“. აგრეთვე იგი განამტკიცებს „საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში“.

ნორვეგია/საქართველოს პარტნიორობა წარმოადგენს აღნიშნული მოთხოვნების შესრულების მკაფიო მაგალითს. მონაწილე მხარეების მიერ, ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ინკლუზიის, როგორც აქტუალური თემის, სტრატეგიების, პოლიტიკისა და პრაქტიკის ჩამოყალიბების საქმეში. პროექტის პარტნიორები, აცნობიერებდნენ რა მდგრადობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ გამონწვევებს, მტკიცედ და ერთსულოვნად ადგენდნენ საქართველოში მომავალი განვითარებისათვის საჭირო გეგმებს.

საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ეფუძნება, სამთავრობო დონეზე, ქვეყნის შიგნით, ყველა მოქალაქისათვის გაზრდილი შესაძლებლობების უზრუნველყოფისათვის გადადგმულ ნაბიჯებს. ნორვეგია/საქართველოს პარტნიორობა აკმაყოფილებს ადამიანის უფლებათა დაცვისა და თანასწორობის მოთხოვნას იმ კონკრეტულ სამიზნე ჯგუფთან მიმართებაში, რომლებიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები არიან.

მსჯელობა

ამრიგად, ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს და საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლობა, საქართველოში ინკლუზიური განათლების სისტემის ჩამოყალიბებაზე მიმართული მუშაობის პოზიტიური მაგალითია.

სარგებელი, რომელიც მიიღეს მასწავლებლებმა, სტუდენტებმა, პოლიტიკის შემმუშავებლებმა და მიიღებენ პოტენციური დამსაქმებლები, პროექტის ფარგლებში მიღწეული შედეგების მტკიცებულებაა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ინდივიდებისა და ინსტიტუციების მიერ შემუშავებული სამუშაო პრაქტიკა, შესაძლოა გამოადგეს განათლებისა და სოციალური განვითარების სფეროებში მომუშავე სხვა პირებსაც. ამდენად, საჭიროა პროექტის გუნდის მუშაობის თვალსაჩინოება. ამავე დროს ძალისხმევა უნდა მოხმარდეს პარტნიორობის შენარჩუნებას, რადგან ის სასარგებლო იყო ყველა მხარისათვის.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებს, წინა წლებთან შედარებით, სათანადო პროფესიული განათლების მიღების მეტი საშუალება აქვთ. პროფესიული კოლეჯების მასწავლებლებმა მოახდინეს იმის დემონსტრირება, თუ როგორ შეიძლება სტუდენტების ჩართვა სწავლის პროცესში, ხოლო პროფესიულ კოლეჯებში ამჟამად უკვე ხელმისაწვდომი კომპეტენციები უზრუნველყოფს სერვისის მიწოდების შენარჩუნებას და შემდგომ გაუმჯობესებას. ამის მიუხედავად, აღნიშნული მიღწევების მდგრადობა დამოკიდებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მზაობაზე, გააგრძელოს ტრენინგების უზრუნველყოფა და კიდევ უფრო გაამდიდროს კოლეჯები სტუდენტების სხვადასხვა ჯგუფების დასახმარებლად აუცილებელი რესურსებით.

პროფესიული კოლეჯების მასწავლებლებმა შეიძინეს თავდაჯერება სხვადასხვა სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებასთან მიმართებაში. თუმცა, ამ თავდაჯერებულობას და უნარ-ჩვევებს ფლობს მასწავლებელთა არცთუ მრავალრიცხოვანი ჯგუფი. საჭიროა, ინკლუზიური განათლების სფეროში დახელოვნებულმა პედაგოგებმა გაავრცელონ საკუთარი ცოდნა და კოლეგებიც აღჭურვონ ინკლუზიურ სასწავლო გარემოში მუშაობის უნარ-ჩვევებით. ეს იქნება უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, საქართველოში ინკლუზიური პრაქტიკის მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

ამჟამად, უფრო ინკლუზიურ საგანმანათლებლო სისტემის შექმნაზე მიმართული მუშაობა ფოკუსირებულია პროფესიულ კოლეჯებზე. პროექტის ფარგლებში შემუშავებული პრინციპები და მიდგომები უნდა გამოიყენონ სხვა ინსტიტუციებმაც. ამდენად, აუცილებელია გარკვეული ღონისძიებების გატარება, რათა გამოცდილება განივრცოს განათლების სხვა საფეხურებზეც. ეს მოითხოვს არა მხოლოდ პროფესიულ კოლეჯებში ინვესტირებულ ცოდნაზე დაფუძნებულ მუშაობას, არამედ იმ გზების მოძიებას და შესწავლას, რომლებიც თანამშრომლობის ამ მოდელით სარგებლობას სხვა საგანმანათლებლო გარემოსა და დანესებულებაშიც შეგვადლებინებს.

მნიშვნელოვანია პროფესიულ კოლეჯებსა და დამსაქმებლებს შორის კომუნიკაციის გაძლიერებისა და დისკუსიების ჩატარების უზრუნველყოფა, ინკლუზიური განათლების პრინციპების პოპულარიზაციის მიზნით. საჭიროა პროექტის ფარგლებში მიღწეული წარმატებების ილუსტრირება და გააზრება, რასაც მივაღწევთ კოლეჯებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების შემთხვევების დემონსტრირებით.

დანართები

ქვემოთ მოყვანილი დანართები შედგება შემდეგი დოკუმენტაციისაგან:

დანართი 1: პროფესიული კოლეჯების სტუდენტებთან ჩატარებული კვლევა

დანართი 2: ინტერვიუს განრიგი – პროექტის დამგეგმავები (საქართველო)

დანართი 3: ინტერვიუს განრიგი – ტრენინგის ჩამტარებლები

დანართი 4: კითხვები სტუდენტების ფოკუს ჯგუფისათვის

დანართი 5: კითხვები ტრენინგის მონაწილეთა ფოკუს ჯგუფისათვის

დანართი 6: ეთიკური თანხმობის ფორმა

დანართი 1



Hedmark University
of Applied Sciences

პროფესიული კოლეჯების სტუდენტებთან ჩატარებული კვლევა

ივსება პროფესიული კოლეჯების სტუდენტების მიერ

ზოგადი ინფორმაცია

გთხოვთ შესაბამის უჯრაში მიუთითოთ თქვენი სქესი:

მამრობითი	
მდედრობითი	

გთხოვთ შეავსოთ თქვენი დაბადების თვე და წელი:

თვე	წელი

სად ცხოვრობთ?

გთხოვთ მიუთითოთ, რომელ კოლეჯში სწავლობთ:

„მერმისი“	
„სპექტრი“	
„იბერია“	
„ბლექსი“	
„აისი“	
„ოპიზარი“	

იღებთ თუ არა რაიმე სახის სოციალურ შეღავათს (სარგებელს) ჯანმრთელობის სამინისტროს ან სხვა რომელიმე ოფიციალური უწყებიდან (გთხოვთ, მონიშნოთ შესაბამისი უჯრა)?

დიახ		არა	
------	--	-----	--

ოჯახური მდგომარეობა

გთხოვთ მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე ზუსტად აღწერს თქვენს ოჯახში ამჟამად მცხოვრებ უფროს პირებს:

დედა და მამა	
მხოლოდ დედა	
მხოლოდ მამა	
დედა და მამინაცვალი	

მამა და დედინაცვალი	
სხვა ნათესავები	
მიმღები ოჯახი	
სხვა (გთხოვთ დააკონკრეტოთ)	

რამდენი ხანია მონაწილეობთ პროგრამაში?

გთხოვთ შეავსოთ თვე და წელი, როდესაც დაიწყეთ სწავლა პროფესიული კოლეჯის პროგრამაზე:

თვე	წელი

როგორია ამჟამად თქვენი სტატუსი ?

გთხოვთ მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს ამჟამინდელ სტატუსს:

კურსდამთავრებული	
სტუდენტი	

გთხოვთ მონიშნოთ უჯრა, რომელიც ყველაზე მეტად შეგესაბამებათ თქვენ.

სერტიფიკატი	
დიპლომი	

გთხოვთ მონიშნოთ ყველა ის უჯრა, რომელიც თქვენ გეხებათ:

ყოფილი სპეციალური სკოლის მოსწავლე	
სპეციალური საჭიროების მქონე ზოგადსაგანმანათლებლო (მეინისტრიმ) სტუდენტი	
ზოგადსაგანმანათლებლო (მეინისტრიმ) სტუდენტი	

მეგობრული ურთიერთობები

ქვემოთ მოყვანილი განაცხადები ეხება იმას, თუ რას გრძნობთ სკოლაში სიარულის დროს, რამდენად გაქვთ სკოლასთან, თანატოლებთან და მასწავლებლებთან სიახლოვის განცდა. გთხოვთ მონიშნოთ მხოლოდ ერთი მოსაზრება. მნიშვნელოვანია, გულწრფელად გასცეთ პასუხი ყველა კითხვას. გაიხსენეთ, როგორ გრძნობდით თავს კოლეჯში ამ გაზაფხულზე. გახსოვდეთ, რომ ადამიანებისთვის, ვინც თქვენს პასუხებს წაიკითხავს, ყოველთვის უცნობად დარჩებით.

სრულად ვეთანხმები = ჩვეულებრივ ასე ვგრძნობ ხოლმე.

ვეთანხმები = კვირის განმავლობაში რამდენჯერმე მაქვს ასეთი გრძნობა.

კიცი და არა = თანაბრად, ზოგჯერ ვეთანხმები ასეთ ფორმულირებას, ზოგჯერ არა.

არ ვეთანხმები = ჩვეულებრივ ასე არ ვგრძნობ, თუმცა ზოგჯერ – კი.

სრულიად არ ვეთანხმები = ჩვეულებრივ ასე არ ვგრძნობ ხოლმე.

სტუდენტის მიკუთვნებულობა		სრულად ვეთანხმები	ვეთანხმები	კიცი და არაც	არ ვეთანხ- მები	სრულიად არ ვეთანხ- მები
1	ჩვეულებრივ, მე თავს ბედნიერად ვგრძნობ პროფესიულ კოლეჯში ყოფნით.					
2	ადამიანები ამჩნევენ, როდესაც მე რაღაცას კარგად ვაკეთებ.					
3	ჩემნაირი ადამიანებისათვის ძნელია აქ თავი ბედნიერად იგრძნო.					
4	მასწავლებლებისა და უფროსების უმეტესობას ჩემს კოლეჯში მე მოვწონვარ.					
5	ზოგჯერ ისეთი გრძობა მაქვს, რომ მე არ ვეკუთვნი ამ ადგილს.					
6	როდესაც პრობლემა მაქვს ან განერვიულებული ვარ, მე შემოიძლია დაველაპარაკო ჩემს მასწავლებელს ან უფროს ადამიანს ამ კოლეჯში.					
7	ამ პროფესიულ კოლეჯში ადამიანები მეგობრულად არიან ჩემდამი განწყობილი.					
8	ჩემს კოლეჯში მე ძალიან მეხმარება დამხმარე პერსონალი (არა-მასწავლებელი).					
9	აქ მასწავლებლებს არ მოსწონთ ჩემნაირი ადამიანები.					
10	მე აქ სხვა სტუდენტებისაგან ძალიან განსხვავებულად ვგრძნობ თავს.					
11	ნეტავ სხვა კოლეჯში ვიყო.					
12	ვგრძნობ, რომ ჩემს პროფესიულ კოლეჯში მე დაფასებული ნევრი ვარ.					
13	აქ სხვა სტუდენტებს მოვწონვარ ისეთი, როგორც ვარ.					
14	ჩემი მასწავლებელი ყურადღებას აქცევს იმას, როგორ ვგრძნობ მე თავს.					
15	მასწავლებელი ყველას მოუწოდებს მეგობრობისაკენ.					
16	მასწავლებელი ზოგ სტუდენტს უკეთ ექცევა, ვიდრე სხვებს.					

მონაწილეობა

ქვემოთყვანილ მოსაზრებებთან მიმართებაში, გვსურს გამოხატოთ თქვენი აზრი თქვენს კოლეჯში არსებული ჩაგვრის შემთხვევების (ბულინგის) შესახებ. გთხოვთ ყოველ განაცხადთან დაკავშირებით მონიშნოთ ერთი უჯრა. მნიშვნელოვანია პასუხი გასცეთ ყველა კითხვას და იყოთ გულახდილი.

თანამშრომლობა სტუდენტები	სრულად ვეთანხმები	ვეთანხმები	კიცი და არა	არ ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
1 ადვილია ჯგუფების ჩამოყალიბება ერთობლივი მუშაობისათვის.					
2 სტუდენტებს ამ ჯგუფში/კლასში უყვართ ერთმანეთის დახმარება დავალებებისა და საშინაო დავალების შესრულებაში.					
3 ჩემი თანატოლები მემეხმარებიან, თუკი რაიმეს ვერ ვაკეთებ ან ვერ ვიგებ.					
4 მე შემიძლია ჩემი აკადემიური მიზნების მიღწევა, როდესაც ჩემს ჯგუფში ვმუშაობ.					
5 მასწავლებლები მისმენენ მე, როდესაც რაიმეს ვამბობ ან მაქვს საგნებთან დაკავშირებული კითხვა.					
6 ჩემი თანატოლები ისმენენ ჩემს აზრებს ჯგუფში.					
7 მე არ მიყვარს ჩემი თანაჯგუფელების მოსმენა, როდესაც ისინი ჯგუფში საუბრობენ.					
8 ჩემს აზრებს ჯგუფში ითვალისწინებენ.					
9 მე ვიღებ დახმარებას და ხელშეწყობას დავალების შესრულებაში, როდესაც ეს მჭირდება.					
10 ჩვეულებრივ, ისეთი დავალებები მაქვს, რომელიც მეხმარება, ვისწავლო გაკვეთილის განმავლობაში.					
11 მე ვიყენებ ადაპტირებულ დამხმარე საშუალებას, რათა სწავლა ხელმისაწვდომი გახდეს ჩემთვის.					
12 ადაპტირებული დამხმარე საშუალების ქონა ჩემთვის სასარგებლო იქნებოდა და გახდიდა სწავლას ხელმისაწვდომს.					

ჩაგვრა (ბულინგი) სტუდენტები		სრულად ვეთანხმები	ვეთანხმები	კიცი და არა	არ ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
1	პროფესიულ კოლეჯში იშვიათად აქვს ადგილი ჩაგვრას (ბულინგს).					
2	მე მქონია ჩემი ჯგუფელების მხრიდან შევიწროების და არმიღების/გარიყვის შემთხვევა.					
3	მასწავლებელი ჩვენ გვესაუბრა ჩაგვრის (ბულინგის) შესახებ.					
4	მე სხვები ხშირად მჩაგრავენ (ბულინგი).					
5	მე თანატოლები ხშირად მანვალებენ (დამცინიან).					
6	პროფესიულ კოლეჯში მე თავს ბედნიერად არ ვგრძნობ.					
7	პროფესიულ კოლეჯში მე თავს მარტოდ ვგრძნობ.					
8	პროფესიულ კოლეჯში მე თავს ძალიან კარგად ვგრძნობ.					

დემოკრატიული პროცესები

შემდეგი ნაწილი ეხება იმას, თუ რამდენად გაქვთ საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა, გისმენენ თუ არა თანატოლები, მასწავლებელი და სხვა უფროსები. მნიშვნელოვანია, გულახდილად გასცეთ პასუხი ყველა კითხვას. გაიხსენეთ, როგორი დამოკიდებულება გქონდათ კოლეჯთან ამ გაზაფხულზე.

ურთიერთობა სტუდენტებსა და მასწავლებელს შორის		სრულად ვეთანხმები	ვეთანხმები	კიცი და არა	არ ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
სტუდენტები						
1	მე კარგი ურთიერთობა მაქვს ჩემს მასწავლებელთან.					
2	მასწავლებელს მე ვუყვარვარ.					
3	თუკი მე რაიმე სახის პრობლემა მაქვს, მე შემოიძლია დაველაპარაკო ჩემს მასწავლებელს.					
4	მასწავლებელი აფასებს ჩემს ბეჯით შრომას.					
5	მასწავლებლები ზრუნავენ ჩემს კეთილდღეობაზე.					
6	მასწავლებლებთან თავს შერცხვნილად ვგრძნობ, თუკი რამეს ვერ ვიგებ.					
7	მასწავლებელი მე არასოდეს მამცირებს.					
თვითგამორკვევა სტუდენტები						
1	მე შემოიძლია ჯგუფში სხვადასხვა დავალების შესრულება, ისევე, როგორც სხვებს.					
2	ადამიანები ისმენენ ჩემს მოსაზრებას გადანყვეტილების მიღებამდე.					
3	ზოგჯერ გაკვეთილებზე ჩვენ შეგვიძლია თავად ავირჩიოთ ჩვენი დავალება.					
4	მასწავლებელი ისმენს ჩემს მოსაზრებებს.					
5	მე არ გამოვთქვამ ჩემს მოსაზრებას ჯგუფში.					
6	მე არ ვუსვამ კითხვას მასწავლებელს, თუკი რაიმეს ვერ ვიგებ.					
7	მე არ მაქვს ჩემი მოსაზრებები აკადემიურ მიზნებთან მიმართებაში.					
8	მასწავლებელი იღებს გადანყვეტილებას იმაზე, რა უნდა გაკეთდეს ჯგუფში.					
9	ჩემი მოსაზრება ჩემს საკუთარ განათლებაზე სხვებისათვის არაფერს ნიშნავს.					
10	ჩვენ გვაქვს გავლენა ჯგუფში არსებულ წესებთან მიმართებაში.					

შედეგები

აკადემიური განვითარება სტუდენტები		სრულად ვეთანხმები	ვეთანხმები	კიცი და არაც	არ ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
1	ჩემთვის მნიშვნელოვანია კარგი ნიშნების მიღება.					
2	ჩვეულებრივ მე ვფიქრობ, რომ გაკვეთილებზე ყოფნა მოსაწყენია.					
3	ვფიქრობ, მნიშვნელოვანია პროფესიულ კოლეჯში სიარული, რომ ისწავლო.					
4	მე მომწონს ყველა საგანი, რომელსაც კოლეჯში ვსწავლობ.					
5	მე მომწონს იმ საგნების უმეტესობა, რომელსაც კოლეჯში ვსწავლობ.					
6	მე მომწონს ზოგიერთი საგანი, რომელსაც კოლეჯში ვსწავლობ.					
7	მე ყურადღებით ვარ, როდესაც მასწავლებელი საუბრობს.					
8	მასწავლებლები მამხნევენ, რომ უკეთ ვისწავლო საგნები.					
9	მე ბეჯითად ვსწავლობ საგნებს სკოლაში.					
10	მე მომაქვს ჩემთვის საჭირო წიგნები და აღჭურვილობა ჯგუფში.					
11	მე არ მომწონს იმ აქტივობების კეთება, რომელიც მასწავლებელს უნდა რომ გავაკეთო.					
12	მე დროულად ვასრულებ საშინაო დავალებას.					
13	მასწავლებლები სხვადასხვანაირად ასწავლიან.					

სოციალური უნარ-ჩვევები სტუდენტები		სრულად ვეთანხმები	ვეთანხმები	კიცი და არაც	არ ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
1	მე ვარ თანაჯგუფელებთან საუბრის ინიციატორი.					
2	საჭიროების შემთხვევაში, თანაჯგუფელებს ჩემს დახმარებას ვთავაზობ.					
3	მე არ მიყვარს ჩემს თანაჯგუფელებთან საუბარი.					
4	მე მომწონს კომპლიმენტების მიღება ჩემი თანაჯგუფელებისგან.					
5	აზრთა სხვადასხვაობის დროს მე კომპრომისზე (დათმობაზე) მივდივარ.					
6	უსამართლო მოპყრობაზე მე საპასუხო რეაქცია მაქვს.					
7	თანაჯგუფელები მე მინვევენ აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად.					
8	მე ვიღებ კრიტიკულ შენიშვნებს ჩემს სამუშაოსთან დაკავშირებით.					
9	მე არ მადარდებს, თუკი ჩემი თანაჯგუფელები დამცინიან (მანვალებენ) ხოლმე.					
10	დღის განმავლობაში კოლეჯში ყოფნისას, მე ვბრაზდები.					
11	კონფლიქტის დროს შემიძლია ჩემი სიბრაზის გაკონტროლება.					

დანართი 2

საქართველოში პროფესიული განათლებისა და ინკლუზიის პროექტის შეფასება

ინტერვიუს განრიგი – პროექტის დამგეგმავები (საქართველო)

ნაწილი 1: განხორციელება

1. რა იყო ამ პროექტის დაწყების თავდაპირველი მოტივაცია?
2. როდის დაუკავშირდით პირველად ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს წარმომადგენლებს?
3. როგორი იყო თქვენი როლი პირველი შეხვედრების დროს?
4. ვინ იყო ჩართული მთლიანობაში პროექტის დაგეგმვაში?
5. როგორი იყო თქვენი კონკრეტული როლი ამ პროექტში?
6. რა მთავარ გამოწვევებს წააწყდით თქვენი პროექტის განხორციელებისას?
7. როგორ განსაზღვრავდით საქმიანობაში ჩართულ ძირითად პირებს?
8. როგორ იყო განაწილებული პარტნიორებს შორის პროექტის ამოცანები?
9. როგორია თქვენი იმედი, რის მიღწევა შეუძლია პროექტს?

ნაწილი 2: ზეგავლენა

1. რამდენად წარმატებული იყო პროექტი მიზნების მიღწევაში?
2. რა გაძლევთ იმის თქმის საფუძველს, რომ პროექტი იყო წარმატებული/წარუმატებელი?
3. აკმაყოფილებდა პროექტი სტუდენტების საჭიროებებს, შეზღუდული შესაძლებლობის ყველა ჯგუფებთან მიმართებაში (რა გაძლევთ იმის თქმის საფუძველს)?
4. შეგიძლიათ დაგვისახელოთ პროექტის შედეგად მიღებული ცვლილების მაგალითი?
5. პროექტის მიმდინარეობის დროს განხორციელებულ რომელ აქტივობას ჰქონდა ყველაზე დიდი გავლენა (რა გაძლევთ იმის თქმის საფუძველს)?
6. არის რაიმე ისეთი, რასაც სხვანაირად გააკეთებდით, თავიდან რომ ახორციელებდეთ ტრენინგს (რატომ)?
7. გჯერათ, რომ განხორციელებული პროექტი ხარჯთეფექტური იყო (რა გაძლევთ იმის თქმის საფუძველს)?

ნაწილი 3: მდგრადობა

1. გჯერათ, რომ პროექტმა საქართველოში ცვლილება მოიტანა (რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს)?
2. არის პროექტის შედეგები მდგრადი?
3. არსებობს ამჟამად საქართველოში ამ პროექტის მიზნების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა?
4. არსებობს საქართველოში გამოცდილება, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის ამოცანების მდგრადობას?
5. რა მიღწევა ჰქონდა პროექტს ისეთი, რომელიც მომავალში განაპირობებს საქართველოში პროფესიული განათლების სისტემის შემდგომ წარმატებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებაში?
6. რა ძირითადი გამოწვევები არსებობს მდგრადობასთან მიმართებაში?
7. თქვენი აზრით, რა არის ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივობა, რომელიც უნდა განხორციელდეს, საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიული განათლების შემდგომი პროგრესის უზრუნველსაყოფად?

დასკვნითი კითხვა

1. არის კიდევ რაიმე, რის თქმაც გინდათ ნორვეგია/საქართველოს პროექტის შესახებ?

დანართი 3

საქართველოში პროფესიული განათლებისა და ინკლუზიის პროექტის შეფასება

ინტერვიუს განრიგი – ტრენინგის ჩამტარებლები

ნაწილი 1: განხორციელება

1. რა იყო თქვენი პროექტში ჩართულობის ძირითადი აქცენტი?
2. როგორ მიიღეთ გადაწყვეტილება ჩასატარებელი ტრენინგის ძირითად აქცენტებზე?
3. ვინ იყო ჩართული ამ გადაწყვეტილების მიღების პროცესში?
4. ვინ იყო ჩართული ტრენინგის მასალების შემუშავებაში?
5. რა ფორმატით განხორციელდა თქვენს მიერ ჩატარებული ტრენინგი?
6. ვის ჩაუტარეთ ტრენინგი?
7. სად ჩატარდა ტრენინგი?
8. როგორ მოახდინეთ ტრენინგის კონტექსტუალიზაცია საქართველოს სიტუაციაზე?
9. ტრენინგის ჩატარების დროს, რა იყო ყველაზე დიდი გამოწვევები?

ნაწილი 2: ზეგავლენა

1. როგორ იქნა ტრენინგი შეფასებული?
2. რა იყო ტრენინგის მთავარი ამოცანები (და რამდენად წარმატებით შესრულდა ისინი)?
3. გჯერათ, რომ, სატრენინგო კურსში, სწორად იყო დაბალანსებული თეორია და პრაქტიკა (რატომ კი ან რატომ არა)?
4. აკმაყოფილებდა სატრენინგო კურსი სტუდენტების საჭიროებებს, შეზღუდული შესაძლებლობის ყველა ჯგუფებთან მიმართებაში?
5. შესაბამისად იყო გამახვილებული ყურადღება სხვადასხვა შეზღუდვის მქონე პირთა ჯგუფებზე?
6. ტრენინგზე ნასწავლი მასალა გამოყენებული იქნა კოლეჯში (რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს)?
7. შეგიძლიათ დაგვისახელოთ პროექტის შედეგად მიღებული ცვლილების მაგალითი?
8. არის რაიმე ისეთი, რასაც სხვანაირად გააკეთებდით, თავიდან რომ ატარებდეთ ამ პროექტთან დაკავშირებულ ტრენინგს (რატომ)?

ნაწილი 3: მდგრადობა

1. იქონია სატრენინგო კურსმართელმა რაიმე ზეგავლენა, კოლეჯებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებთან მიმართებაში, მოტივაციაზე, დამოკიდებულებასა და მოლოდინებზე (რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს)?
2. გჯერათ, რომ პროექტმა საქართველოში ცვლილება მოიტანა (რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს)?
3. არის პროექტის შედეგები მდგრადი?
4. არსებობს ამჟამად საქართველოში ამ პროექტის მიზნების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა?
5. არსებობს საქართველოში გამოცდილება, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის ამოცანების მდგრადობას?
6. არიან საქართველოში კოლეგები, ვისაც ამჟამად შეუძლია თქვენს მიერ ჩატარებული ტრენინგის ანალოგიური ტრენინგის ჩატარება?
7. რა მიღწევა ჰქონდა პროექტს ისეთი, რომელიც მომავალში განაპირობებს საქართველოში პროფესიული განათლების სისტემის შემდგომ წარმატებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებაში?
8. რა ძირითადი გამოწვევები არსებობს მდგრადობასთან მიმართებაში?
9. თქვენი აზრით, რა არის ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივობა, რომელიც უნდა განხორციელდეს, საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიული განათლების შემდგომი პროგრესის უზრუნველსაყოფად?

დასკვნითი კითხვა

1. არის კიდევ რაიმე, რის თქმაც გინდათ პროექტის შესახებ?

დანართი 4

კითხვები სტუდენტების ფოკუს ჯგუფისათვის

	ძირითადი კითხვა	ზონდირება
1	რა არის ყველაზე კარგი თქვენს კოლეჯში სიარულში?	
2	არის რაიმე, კოლეჯის სასწავლო კურსში, რაც არ მოგწონთ?	
3	რატომ აირჩიეთ კოლეჯში შესვლა?	
4	დაგეხმარათ ვინმე არჩევანის გაკეთებაში?	
5	გყავთ მეგობრები კოლეჯში?	5 (ა) თუ დიახ – ვინ არიან თქვენი მეგობრები? 5 (ბ) თუ არა – გყავთ მეგობრები კოლეჯის გარეთ?
6	ადვილია თქვენი კოლეჯში მისასვლელი გზის პოვნა?	თუ არა – რა სირთულეები არსებობს?
7	ვინ არიან ის ადამიანები, ვინც ყველაზე მეტად გეხმარებიან კოლეჯში?	
8	არის რაიმე, რაც კოლეჯში რთულად გეჩვენებათ?	მკაფიო (დეტალური) ინფორმაციის მისაღებად მოახდინეთ ზონდირება.
9	ესმით კოლეჯის მასწავლებლებს თქვენი საჭიროებები?	9 (ა) თუ დიახ – როგორ გამოხატავენ ისინი ამას? 9 (ბ) თუ არა – რა პრობლემები არსებობს?
10	აკმაყოფილებს თუ არა კოლეჯის კურსი თქვენს საჭიროებებს ?	10 (ა) თუ დიახ – დაასახელეთ მაგალითები. 10 (ბ) თუ არა – რატომ არა?
11	არის კოლეჯის შენობა-ნაგებობები და აღჭურვილობა მისაწვდომი (ადაპტირებული)?	თუ არა – რა პრობლემები არსებობს?
12	არის კოლეჯში არსებული რესურსები და მასალები თქვენს საჭიროებაზე კარგად მორგებული?	12 (ა) თუ დიახ, – დაასახელეთ მაგალითები. 12 (ბ) თუ არა, – რით არ გაკმაყოფილებთ ისინი?
13	რის გაკეთება გსურთ კოლეჯის დამთავრების შემდეგ?	
14	როგორ გამზადდებთ კოლეჯი სამუშაოსათვის?	
15	გქონიათ სამუშაო გამოცდილების მიღების რაიმე პირადი შესაძლებლობები?	თუ დიახ – რა სახის?
16	როგორ გრძნობთ, ხართ წარმატებული სასწავლო კურსზე?	16 (ა) თუ დიახ – გვითხარით, საიდან იცით ეს? 16 (ბ) თუ არა – გვითხარით, რის მიღწევას ისურვებდით?

17	რა რჩევას მისცემდით შეზღუდული შესაძლებლობის ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს, ვინც მომავალ წელს იწყებს კოლეჯში სწავლას?	
18	რა რჩევას მისცემდით კოლეჯში მასწავლებლებს, თუკი მათ სურთ გააუმჯობესონ სასწავლო კურსი შეზღუდული შესაძლებლობის ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის?	
19	არის კიდევ რაიმე, რის თქმაც გასურთ კოლეჯთან დაკავშირებით?	

დანართი 5

კითხვები ტრენინგის მონაწილეთა ფოკუს ჯგუფისათვის

	ძირითადი კითხვა	ზონდირება
1	ვინ გადამწყვიტა, რომ თქვენ უნდა დასწრებოდით საქართველოში გამართულ ტრენინგებს?	1(ა) მიიღეთ კონსულტაცია მონაწილეობასთან დაკავშირებით? 1 (ბ) როგორი გრძნობა გქონდათ ამ შესაძლებლობასთან დაკავშირებით?
2	რისი მიღების იმედი გქონდათ ამ ტრენინგიდან?	
3	გამართლდა თქვენი იმედი?	
4	რა ფორმატით ჩატარდა ტრენინგი?	
5	თქვენი აზრით, რა იყო ტრენინგის ყველაზე სასარგებლო ელემენტი?	რატომ იყო სასარგებლო კონკრეტულად ეს ნაწილი?
6	თუ იყო ტრენინგის რომელიმე ნაწილი არცთუ ისე კარგი?	6 (ა) რატომ იყო ის ნაკლებად წარმატებული? 6 (ბ) შეიძლებოდა მისი ჩატარება რაიმე სხვა გზით?
7	სწავლების რომელი მიდგომა იყო ყველაზე სასარგებლო ტრენინგში?	რატომ იყო ეს მიდგომები განსაკუთრებულად სასარგებლო ?
8	იყო ტრენინგკურსის ჩატარებაში რაიმე ასპექტი, რომელიც უკეთესი შეიძლებოდა ყოფილიყო?	რა ასპექტები იყო ეს?
9	იყო ტრენინგის მასალები კარგი ხარისხის?	
10	იყო რაიმე მასალა, რაც შეიძლება უკეთესი ყოფილიყო?	როგორ შეიძლებოდა მათი გაუმჯობესება?
11	რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ტრენინგის დროს ისწავლეთ?	
12	ტრენინგზე ნასწავლი ცოდნა გამოიყენეთ მუშაობაში?	თუ დიახ, – გთხოვთ დაასახელოთ მაგალითები.
13	იქონია ტრენინგმა გავლენა თქვენს საქმიანობაზე?	თუ დიახ, – გთხოვთ მოიყვანოთ მაგალითები.
14	შეცვალა ტრენინგმა თქვენი დამოკიდებულება ან მოლოდინები შეზღუდული შესაძლებლობის ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებთან მიმართებაში?	14 (ა) თუ დიახ, – რა მხრივ? 14 (ბ) თუ არა, – მოხდა ეს იმიტომ, რომ თავიდანვე პოზიტიური დამოკიდებულება გქონდათ? ხომ არ იყო რაიმე სხვა მიზეზი.
15	განსაზღვრეთ, სამომავლოდ რა ტრენინგები გესაჭიროებათ?	თუ დიახ, – რა არის ეს?
16	მოგეცათ შესაძლებლობა, თქვენი კოლეგებისათვის გაგეზიარებინათ ის, რაც ტრენინგზე ისწავლეთ?	16 (ა) თუ დიახ, – როგორ? 16 (ბ) თუ არა, – რატომ არა?
17	არის კიდევ რაიმე, რის თქმაც გასურთ ტრენინგთან დაკავშირებით?	



Hedmark University
of Applied Sciences

ეთიკური თანხმობის ფორმა

საქართველოში პროფესიული განათლებისა და ინკლუზიის პროექტის შეფასება

ნორსჰემპტონის უნივერსიტეტს (გაერთიანებული სამეფო) და ჰედმარკის საუნივერსიტეტო კოლეჯს (ნორვეგია) დაევალა, საქართველოში, პროფესიული განათლების სფეროში მომუშავე კოლეგებისათვის, ინკლუზიური განათლების სფეროში ჩატარებული ტრენინგის ეფექტურობისა და ზეგავლენის შეფასება. რამდენადაც ჩვენთვის ღირებულია, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თქვენი აზრი, გინვეთ დღევანდელ ფოკუს ჯგუფში ან ინტერვიუში მონაწილეობის მისაღებად.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ მონოდებული ინფორმაცია გამოყენებული იქნება მხოლოდ კვლევის მიზნით. კვლევის შესახებ მომზადებულ ანგარიშში არ იქნება დასახელებული არცერთი პიროვნება, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში გამოვიყენებთ ფსევდონიმს. უფლება გაქვთ ნებისმიერ დროს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, უარი თქვათ ფოკუს ჯგუფში/ინტერვიუში მონაწილეობაზე. ყველა შეგროვილი მონაცემი ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ მკვლევართა ჯგუფისათვის. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ ნებისმიერ დროს დაუკავშირდეთ პროექტის მთავარ მკვლევარს, პროფესორ რიჩარდ როსს (მისი საკონტაქტო დეტალები მოცემულია ამ დოკუმენტის ქვედა სქოლიოში).

დიდი მადლობა მონაწილეობაზე თანხმობისათვის. თქვენ მიერ მონოდებული ინფორმაცია და ცოდნა ძალიან ფასეულია.

მე (სახელი, გვარი) _____ მივიღე განმარტება დღევანდელი ფოკუს ჯგუფის/ინტერვიუს მიზანთან დაკავშირებით.

მე ვიძლევი თანხმობას, ფოკუს ჯგუფის/ინტერვიუს განმავლობაში დღეს შეგროვებული ინფორმაცია გამოყენებული იქნას მხოლოდ ამ კვლევის მიზნით.

ხელმოწერა _____

თარიღი _____



9 789941 094811